განცხადება

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს გამარტივებულ კონკურსს, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად.

კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით შემდეგი პირობებით:

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

4. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

5. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.

6. კონკურსები ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) I ეტაპი მოიცავს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადების გადარჩევას;
ბ) II ეტაპი ტარდება გასაუბრების წესით, ვაკანტური პოზიციისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნით გათვალისწინებულ თემატიკასთან დაკავშირებით. გასაუბრება ჩატარდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189).

7. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებისას მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

8. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khobi.ge).

9. ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khobi.ge, საინფორმაციო ბლოკი: „ვაკანსია“/„2017 წელი“/„აგვისტო“).

10. საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა: hr@khobi.ge
ტელეფონი: 599856064 (სალომე ცხადაია)

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა